№ 216 ოკტომბერი 8, ოთხშაბათი 1886 ოკტომბერი 8 ოთხშაბათი № 216

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ძგრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერიას“ 1-ლის ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოში, ქ. გორში, პირველს ნოემბერს 1886 წ., ორ საათზედ, დანიშნულია გაჭრობა, განუმეორებლად, ზეპირი და დაბეჭდილ კონვერტში განცხადებებით შესახებ შენობებისა, რომელნიც უნდა აშენდნენ გორის სასულიერო სასწავლებლისთვის და რომელთა ასაშენებლადაც დანიშნულია (68,194 მან. და 20 კ.) სამოცდა რვა ათას ას ოთხმოცდა თოთხმეტი მანეთი და ერთი აბაზი. პირობანი ამა გაჭრობისანი და სმეტა შენობებისა მსურველთ შეუძლიანთ ნახონ სასწავლებლის სამმართველოში და ექსარხოსის კანცელარიაში; სასწავლებლის სამმართველოში სმეტა და პირობანი მსურველთ შეუძლიანთ იხილონ ყოველ დღე, თვინიერ კვირა-უქმისა, დილის რვა საათიდგან სადამოს ორ საათამდის.

გაჭრობის მსურველნი მოვალენი არიან გაჭრობის დღის თორმეტ საათამდის შემოიტანონ სასწავლებლის სამმართველოში განცხადება მასზედ, რომ მიუშვან იგინი სავაჭროდ და მასზედა, რომ მათ სურთ აიღონ ფოდრათი პირობათა თანახმად. (3—1)

ტფილისი, 7 ოქტომბერი

ლორდი რანდოლფ ჩერჩილი სახელოვანის მალბუროს შთამომავალია და დღეს გამოჩენილი ადგილი უჭირავს კონსერვატორების დასში. იგი ყმაწვილი კაცია და საპოლიტიკო ასპარეზზედ თავი იჩინა, როცა სალუსბერიმ პირველად მიიღო მთავარ-მინისტრობა ინგლისში. მაშინ ლორდი ჩერჩილი საგარეო საქმეთა მინისტრად იყო მოწვეული სალუსბერისაგან და ყველას ახსოვს მისი თავგამოდება და მეტის-მეტი ცხარე ლაპარაკი ავღანის საქმეთა გამო. მერე როცა სალუსბერი იძულებულ შეიქმნა გლადსტონისათვის დაეთმო მთავარ მინისტრობა, ლორდი ჩერჩილიც ინგლისის ჩვეულებისამებრ, გადადგა, ჩადგა ოპოზიციაში სალუსბერთან ერთად და კონსერვატორების დასში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. მისი გამბედავი და მეტად კადნიერი სიტყვა და ქცევა გლადსტონის წინააღმდეგ ირლანდიის გამო ყველას დღესაც საოცრად აქვს. მეტის-მეტი მოურიდებელი კაცია ლაპარაკში და არავითარ სიტყვას არა ჰთაკილობს ხოლმე, როცა მოპირდაპირეს მიესევა. ეს ამისთანა ხასიათი ცოტაოდნად აბრკოლებს ლორდ ჩერჩილის წინსვლას საპოლიტიკო მოედანზედ ასე, რომ ისინიც კი, ვინც ამისა თაყვანის-მცემელნი არიან, ვერ ჰბედვენ ხელთ-მძღვანელობა ჩაუგდონ ხელში იმისთანა საქმეში, რომელიც რიდსა და თავაზიანობას ჰთხოულობს, როგორც სიტყვის ხმარებაში, ისეც მოქმედებაში. ყველანი კი ერთ ხმად აღიარებენ, რომ ლორდი ჩერჩილი ნიჭიერი, გონება-მახვილი, გამჭრიახი და მხნე ყმაწვილი-კაცია და ზოგნიც იქამდე მიდიან, რომ კონსერვატორების დასის მეთაურობას უქადიან სალუსბერის შემდეგ.

საკვირველი ამ კაცში ის არის, რომ საგარეო პოლიტიკაში სრული მორჩილია კონსერვატორების დასის ნაანდერძევისა, მათთა დედა-აზრთა გულითადი მიმდევარია, ხოლო საშინაო პოლიტიკაში რადიკალებზედ თუ მეტი არა, ნაკლები აღარ არის. დღეს აშკარადა სჩანს, რომ ამ მხრით იგი და რადიკალთა დასის მოთავე ჩამბერლენი მხარი-მხარს გადაბმულნი არიან და ერთმანეთის თანახმად მოქმედებენ. ეს ამბავი მით უფრო გასაოცარია, რომ ლორდ ჩერჩილს დაჰყვნენ თითქმის ყველა წევრნი სალუსბერის სამინისტროსანი, წევრნი, რომელნიც ძველის ტორიების მოძღვრებისანი არიან და მაშასადამე, რომელთა აზრიც ვითარცა საგარეო პოლიტიკაში, აგრეთვე საშინაოში არას გზით რადიკალთა აზრს არ მიუდგება, არ შეეთვისება. ხოლო რაკი დღეს ასეა და ლორდ ჩერჩილის მოუხერხებია ცეცხლისა და წყლის ერთმანეთთან მოთავსება, სჩანს დიდი გავლენა ჰქონია სალუსბერზედ და მის მომხრეებზედ სამინისტროში. თქმა არ უნდა, რომ ინგლისის თავი კაცების საყოველთაოდ ცნობილი თვისება, რომელიც ჩვენ გუშინ მოვიხსენიეთ, ამაში დიდ ხელს შეუწყობდა ლორდ ჩერჩილსა, მაგრამ არ შეიძლება კარგა ნაწილი ამ ნაირის გამარჯვებისა თვითონ ჩერჩილის ხერხიანობას და ზედ-მოქმედებასაც არ მივაწეროთ. სჩანს დიდი ხმა ჰქონია ლორდ ჩერჩილს დღევანდელს სამინისტროში. ამასვე უნდა მივაწეროთ ის გარემოებაც, რომ ამისთანა საგარეო საქმეთა აწეწვის დროს სალუსბერის სამინისტრომ ლორდი ჩერჩილი აირჩია ბერლინსა და ვენაში გასაგზავნად.

საყურადღებო ის არის, რომ ლორდი ჩერჩილი ფინანსთა მინისტრია ეხლანდელს სამინისტროში და საგარეო საქმეთა მინისტრად კი ლორდი იდსლეი. ლორდ ჩერჩილს ძალიან უნდოდა ჩაეგდო ხელში საგარეო საქმეთა მინისტრობა, როცა სალუსბერი გლადსტონის შემდეგ მთავარ-მინისტრად გახდა, თვითონ სალუსბერიც მოწადინებული იყო, მაგრამ სალუსბერიმ ვერ გაჰბედა, რადგანაც მოერიდა ლორდ-ჩერჩილის მოურიდებელს და კადნიერს სიტყვა-პასუხსა და, თუ გნებავთ, გულ-ახდილობასაც. არც ერთი ეს თვისება ღირსებად ვერ ჩაეთვლება იმ მინისტრს, რომელსაც საქმე უფრო ხშირად დიპლომატიასთანა აქვს და დიპლომატია, როგორც მოგეხსენებათ, ხომ რიდისა და თავაზის ყურ-მოჭრილი ყმაა და, ტალეირანისა არ იყოს, სიტყვას მარტო იმისათვის ჰხმარობს, რომ უფრო ღრმად მიჰმალოს აზრი. ასეა თუ ისე, სალუსბერის სამინისტრომ დღეს საჭიროდ დაინახა, რომ იმისთანა კაცი, როგორიც ლორდი ჩერჩილია, უფრო ბევრს გაარიგებს, ვიდრე იგი, ვინც ორჭოფად ლაპარაკში უფრო დახელოვნებულია. სჩანს ინგლისი ორჭოფად ლაპარაკის საჭიროებას აღარა ჰხედავს, სჩანს გულ-ახდილად აპირობს მოქმედებას და პირდაპირ, ნიღაბ ჩამოუფარებლად ჰლამის საპოლიტიკო მოედანზედ გამოსვლას. ლორდ ჩერჩილის გაგზავნა შუა ევროპაში ამისი ცხადი საბუთია.

რა მინდობილობა აქვს ლორდ ჩერჩილს,—ეს ჯერ კიდევ ამოცანაა ჟურნალ-გაზეთობისათვის,

---

ფელეტონი

გონება პირუტყვსაცა აქვს.—ჭიანჭველა.—ბუჩელი და მისი ამალა.—ადამიანი და ძაღლი.—ბუჩელი და მისი აზრი.—უცნობი და გამოუძიებელი კანონი ბუნებისა.—თავს ვერ დაიჭერს.—ძაღლი წერილით კაცთან მოლაპარაკე.—ძაღლი მწიგნობარი.—ძაღლი არითმეტიკოსი.—ძაღლი დომინოს მოთამაშე.—ძაღლთა კლუბი.—ძაღლი მუსიკის კრიტიკოსი.—დასასრული.

ადამიანი დიდიხანია ჰფიქრობდა და იმაზედ იყო თავ-მოწონებულად დარწმუნებული, რომ ბუნებას გონება მარტო მისთვის მიუნიჭებია და სხვა პირუტყვი სულიერი კი ამ დიდს ნიჭს მოკლებულია. იმავე მოუსვენარმა და ცნობის-მოყვარე გონებამ იმისთანა საბუთები დაუწყო წინ ადამიანსა, რომ ამას იქით ადამიანი ეღარ გაჰბედავს თქმას, გონება მარტო ჩემი კუთვნილებაა ქვეყანაზედაო. აბა ჭიანჭველა რა არის? ერთი რაღაც პაწია მწერია, ძლივა სჩანს თვალითა, მაგრამ იმოდენა ჭკუას და გონებას იჩენს თავის ცხოვრების მოწყობაში, რომ ბევრი უხეირო ადამიანი ჩამოურჩება და გაუცრუვდება. აი ამ პაწია მწერს არამც თუ მარტო თვისის ცალკე ცხოვრების უნარი აქვს, არამედ საზოგადოებრივი წეს-წყობილობაც კი ისეთ ნაირადა აქვს გამართული, რომ ბევრ კაცთა საზოგადოებას შეენატრება. დღეს ჩვენ ამ მწერებს თავს დავანებებთ და გიამბობთ ზოგიერთ საკვირველ ამბებს იმ ცხოველზედ, რომელიც ყოველ დღე ჩვენთან არის, ვითა უანგარო, მიუსყიდველი, ერთგული მეგობარი ადამიანისა. ამისთანა ცხოველი ძაღლია.

გამოჩენილმა მოგზაურმა ბუჩელმა, როცა აფრიკაში დაიარებოდა, ირჩია ხარბისა და ანგარის ორ-ფეხა სულიერის მაგიერ ამხანაგად გაიხადოს ოთხ-ფეხა, ესე იგი, ძაღლი. ადამიანი, რომელიც მუქთად და უანგაროდ ცხვირსაც არ დაალეწინებს ხოლმე, რომელიც ერთის მეტის ლუკმისათვის ძმას გასცემს, ძმას უღალატებს, ძმასა ჰკლავს, რომელიც, მინამ გამოგრჩება რასმე, ფეხ-ქვეშ ფიანდაზად გეშლება და გაჭირების დროს კი ცხრა მთას იქით გადაგივარდება—ბევრით ჩამოუვარდება ერთგულებაში, პატიოსნებაში, თავ გამომეტებაში იმ პირუტყვსა, რომელსაც ჩვენ ერთმანეთში ბოდიშით ვიხსენიებთ ხოლმე, რადგანაც ვთაკილობთ იმის ნადვილ სახელსა და ვითომ ზრდილობის მოთხოვნილობის გამო ხან ოთხ-ფეხს ვეძახით, ხან მეცვარსა. ზემოხსენებულმა ბუჩელმა კარგად იცოდა ეს ღირსება ძაღლისა და თავის მოგზაურობის უშიშრობისათვის ამოირჩია ამხანაგად 25 ძაღლი სხვა-და-სხვა ჯიშისა. რა თქმა უნდა, რომ თვითეულის ჯიშის ძაღლმა თვისის ჯიშისამებრ სამსახური გაუწია. ზოგი ბინას ინახავდა კაცთა მოსვევისაგან, ზოგი ნადირთა და მხეცთაგან. თვითეული ძაღლი თავისებურად შეატყობინებდა ხოლმე პატრონს, თუ რისამე ალღოსა და სუნს აიღებდა. ბუჩელი ისე შეეჩვია თურმე საამისოდ ძაღლთაგან ხმარებულს ნიშნებს, რომ ყოველთვის უტყუარად გამოიცნობდა ხოლმე, რა შენიშნეს და რის ალღო აიღეს ძაღლებმა. ზოგი ძაღლი სუნით იტყობდა მტრის მოახლოვებას, ზოგი თავის საოცარის სმენითა, ზოგი ჰშველოდა ფხიზელობითა, ზოგი ყეფითა, ზოგი სისწრაფითა, როცა ნადირს მიეტევებოდნენ და ზოგი სიმამაცითა, როცა საქმე საომრად გაუხდებოდათ რომელსამე ნადირთან და მხეცთანა. ბუჩელი ამბობს, სრულებით უზრუნველად და მშვიდობიანად შემეძლო ხოლმე ძილიო, რადგანაც დარწმუნებული ვიყავ, რომ ჩემის ერთგულის მეგობრების წყალობითა მტერი უეცრად და ანაზდეულად ვერ დამეცემოდაო.

„დავდიოდი რა თვალ-გადუწვდენელ მინდვრებზედაო—ამბობს ბუჩელი: სადაც მრავალი სხვა-და-სხვა გვარი ნადირია და მხეცი, არა ერთხელ გამკვირვებია იგი სიყვარული, რომელიც აქვთ ძაღლებსა ჩვენდამი. მეც თვითონ გულში მიგრძნია მათდამი მადლობა იმისათვის, რომ მათ ჩვენთან ყოფნა ამჯობინეს სხვა პირუტყვთა თავისუფალს ცხოვრებასა. ხშირად ღამე, როცა ჩემთა თანამგზავრთა ადამიანთა ეძინათ ცეცხლა-პირას, სიყვარულით თვალი გამიჩერებია მათ გვერდით მწოლარე ადამიანის ერთგულ მეგობრებზედა. მოგზაურობის დროს იმოდენა უსიამოვნობა და ვაი-ვაგლახი გამომივლია ჩემთა ორ-ფეხა თანა-მგზავრთაგან, რომ უტყუარი საბუთი მომეცა ძაღლი ზნეობრივის აღმატებულებით მაღლა დამეყენებინა ადამიანზედ, რომელიც მარტო თავის თავის სარგებლობას მისდევს და სხვას არა რას. ძაღლისა და ადამიანის ერთმანეთზე გულ-შემატკივრობა ისეთი საყოველდღეო ამბავია, რომ არავის ფიქრადაც არ მოსდის მიზეზი და სათავე მოუძებნოს და მოუპოვოს. მიზეზი ამ ურთიერთის გულ-შემატკივრობისა იმოდენად საგულისხმოა, ჩემის აზრით, რომ ღირს კაცმა გულ-დადებით განიხილოს და განიკითხოს. პირველ შეხედვით კაცსა ჰგონია, ვითომც მეგობრობა ძაღლსა და კაცს შორის ჩვენს ნებაზეა დამოკიდებული, ჩვენს არჩევანზე, ესე იგი იმაზედ, რომ ჩვენ ჩვენის სურვილისამებრ ძაღლი ამოვირჩიეთ და არა სხვა პირუტყვები ამხანაგად და მეგობრად. საქმით კი ესე არ არის. ადვილად შესაძლოა დამტკიცდეს, რომ ეგ მეგობრობა ჩვენს საკუთარს ნდომასა და სურვილზედ კი არ არის დამყარებული, არამედ იმ დაბადებითვე თან დაყოლილ თანაგრძნობაზედ, რომელიც ძაღლს ეზიდება ადამიანისაკენ, იმ თავდაპირველადვე ჩანერგილ გულის წყურვილზედ, რომ სამსახური რამ გაუწიოს ადამიანსა. ამიტომაც ვხედავთ, რომ ადამიანი ამხანაგად და მეგობრად ირჩევს ყველგან ძაღლსა და არა სხვა პირუტყვსა. რაკი ბუნების-მეტყველი მეცნიერი მთელს ცხოველთა სამეუფოს თვალს გადაავლებს, ჰრწმუნდება, რომ მეგობრობა კაცსა და ძაღლს შორის წარმომდინარებს იმ ბუნების კანონთაგან, რომელნიც ჯერ უცნობნი და გამოუძიებელნი არიან.“

რასაკვირველია, მას აქეთ, რაც კაცობრიობამ იპოვა კანონი მემკვიდრეობით თვისების გარდაცემისა, თავს არ იჭერს ეს ბუჩელის აზრი, ვითომ კანონი უცნობია და გამოუძიებელი იმ საგნის შესახებ, რაზედაც ჰლაპარაკობს. გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ თვისებანი და უნარი, შეძენებულნი წინა-პართაგან, შთამომავლობაზედ გადადის მემკვიდრეობით და ეს გარდასვლა უფრო ძლიერ და ნამეტანობით ძაღლებზეა შენიშნული. ლეკვები, არამც თუ თვალ ტანადობის აგებულებით დაემზგავსებიან ხოლმე დედ-მამას, არამც თუ თვისებით და ხასიათებით, არამედ მტრობაცა და მეგობრობაცა დედ-მამისა გამოჰყვებათ ხოლმე. მაგალითებრ, თუ დედ-მამას სძულებიათ კატა, ლეკვებსაც სძულთ, თუ ჰყვარებიათ, ლეკვებსაც უყვართ... ჩვენ ეს სხვათა შორის მოვიხსენიეთ. ამის დასამტკიცებლად კიდევ ბევრს სხვას მაგალითს მოვიყვანდით, მაგრამ საგნად ჩვენის ფელეტონისა ეს არა გვაქვს. ჩვენ გვინდოდა გვეცნობებინა მკითხველთათვის სადამდე მიაღწია ძაღლმა ადამიანის ხელში და სადამდე მისწვდა ძაღლის გონება. ამ მხრით ძაღლს კაცი რომ დაუკვირდეს, განცვიფრებაში შედის.

ჯერ ყველაზედ უწინარეს უნდა შევნიშნოთ, რომ ძაღლს მშვენიერი მეხსიერება აქვს. ამ უნარის შემწეობით ძაღლი თითქმის წიგნსაცა სწავლობს, თუ კაცი რიგიანად მოჰკიდებს ხელსა ძაღლის სწავლებას. ერთს ექიმს დანიაში ჰყოლია ძაღლი, რომელიც ისე გაუწურთნია, რომ ძაღლი

თუმცა ბევრი საბუთი კი ხელთა აქვთ, რომ ამ საგანზედ უტყუარი აზრი შეადგინონ. აშკარაა, ინგლისი მომხრეებს ეძებს ევროპაში და იმ სახელმწიფოებში, რომელთაც ბოლგარიის საქმეთა გამოსაბძელი ეწვით. ინგლისი, რომელიც აქამომდე თითქო განმარტოებული იყო, და ამასთანავე დაუცხრომელად მოქმედებდა ჩუმად საცა რიგი იყო, დღეს სხვა თვალით უყურებს თავის მდგომარეობას, დღეს ჰხედავს, ვითომც მისმა სურვილმა ფეხი მოიკიდა სხვა სახელმწიფოებშიაც. კოლომან ტისსას სიტყვამ, ვენგრიის პარლამენტში ამას წინად წარმოთქმულმა, ბევრი იმედები გაუღვიძა და ოსმალოს მიერ უატის ელჩად შეწყნარებამ ხომ სულ დაუშოშმანა ამას წინად ნატკენი და ამღვრეული გული. ყოველმა ამან, ვამბობთ, იმედი მისცა ინგლისსა იმისი, რომ ხნული მზად არის და ეხლა მარტო დაფარცხვა-ღა უნდა და დასაფარცხავად აირჩია გამბედავი, მხნეობით სავსე ლორდი ჩერჩილი.

გაზეთები გვაუწყებენ, რომ ლორდ ჩერჩილს ბერლინში მარცხი მოუვიდა. მარცხი იმაში მდგომარეობს, რომ ვითომც არც ბისმარკმა, არც მისმა შვილმა ჰერბერტმა, რომელიც ეხლა საგარეო საქმეთა განაგებს დროებით, ვერ გაჰბედეს რუსეთის რიდით ლორდ ჩერჩილის თავიანთთან მიწვევა. თქმა არ უნდა, რომ ამისთანა მასპინძლობა და მიპატიჟება არ იამებოდა რუსეთსა და თუ ეს ამბავი მართალია, ცხადია, რომ გერმანიის ბედის გამგენი რუსეთის ეგრე აშკარად წყენას მოჰრიდებიან. თქმა არ უნდა, რომ მამა და შვილიც მაინც ინახულებდნენ ლორდ ჩერჩილსა და ლოპარაკიდაც გულს შეიჯერებდნენ, მაგრამ კი უჩუმარად, ქურდულად და არა ოფიციალურად. საქმისათვის, რასაკვირველია, ეს სულ ერთია და დიპლომატიისათვისკი სხვაა. დიპლომატია, საცა არ უჯობს, ბევრს რასმე გააპარებს ხოლმე თვალთაგან, მითამ არ დაუნახავს და ყურს მოიყრუებს მითამ არა გაუგონია-რა. ბერლინიდამ ჩერჩილი ვენაში ამოუყვია თავი და რაც ბერლინში დააკლდა, ვენაში შეისრულებს. ჩერჩილის მოგზაურობის შედეგი დღესა, თუ ხვალე გამოიგაშკაშებს საპოლიტიკო მოედანზედ და იმედია ბევრსაც ჩააფიქრებს. ერთობ ეხლანდელ საქმეთა მიმავლობას რომ ვაკვირდებით, კოჭებში ეტყობა, რომ საქმე კონფერენციის სალეჭავად ჰახდომას ჰლამის. მოვიცდით და ვნახავთ.

ახალი ამბავი

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ყმაწვილს კაცს, სახელდობრ, ბ-ნს პ. მირიანაშვილს ქაღალდი შეუტანია კავკასიის მთავარ-სამმართველოში და უთხოვნია ახალის ქართულ გაზეთის ბეჭდვის ნება-რთვა. გაზეთი სალიტერატურო და საპოლიტიკო იქნება და კვირაში სამჯერ გამოვა. წელიწადში ეღირება 7 მანათად ტფილელთათვის, ხოლო ტფილისს გარეშე მცხოვრებთათვის ფასი 8 მან. იქნებაო. სახელად გაზეთს ერქმევა «ახალი ამბებიო».

⁂ ბ-ნს მ. ჯანაშვილს შეუდგენია სახელმძღვანელო წიგნი, სახელად «ისტორია მართლ-მადიდებლის ეკკლესიისა» და დაბეჭდვას აპირობს. ჩვენ გვგონია, რომ ეს წიგნი სასარგებლო წიგნი იქნება ჩვენის სამღვდელოებისათვის და იმათთვისაც, ვინც სამღვდელოდ ემზადება. სასურველია, რომ ამ წიგნის დაბეჭდვა და გავრცელება სამღვდელოთა-შორის იტვირთოს ვინმემ, მით უმეტესს, რომ კარგი იქნება გვქონდესთ რიგიანად დაწერილი და შედგენილი სახელმძღვანელო და საკითხავი ქართული წიგნები.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისში განუზრახავთ «წიგნების ბეჭდვის საზოგადოების» შედგენა. საზოგადოება დაჰბეჭდავს უფრო ისეთს წიგნებს, რომელთაც გასავალი ექმნება ხალხშიო, მომეტებულ ნაწილად სახელმძღვანელოებსაო. საზოგადოება დაჰბეჭდავს აგრეთვე რუსულს წიგნებსაცა და დაარსებს წიგნების მაღაზიასაცაო.

⁂ ამბობენ, რომ ბ-ნი ივანე კერესელიძე, რომელმაც ამ დღეებში მიიღო სამეურნეო გაზეთის ბეჭდვის ნება-რთვა, ჯერ-ჯერობით არ შეუდგება ამ საქმესაო.

⁂ ქართლიდამ გვწერენ, რომ ამ ჟამად ქართლში მშვენიერი ამინდებიაო. როცა რთველმა და სიცივეებმა წაახდინა ვენახები და სხვა მოსავალი შემოდგომისა, ახლა დაიჭირა სითბოებიო.

⁂ იქიდამვე სწერენ გაზეთს «კავკაზს», რომ რუისში ამ ჟამად საქონლის ჭირია გავრცელებულიო. ამ ცოტას ხანში ჭირმა მოჰკლა 6 ძროხა, 11 ხარი, 4 კამეჩი და 3 ხბოვო. ამას გარდა საქონლის ჭირი ჯერ ისევ ბევრს უდგია და ბევრი საქონელი ჰყავთ ავადაო. დახოცილს საქონელს სოფლელები ორღობებში ჰყრიან, ან შარა გზაზედაო. საქონლის ძოვრს ამ დღე ძაღლები ადგანან და მერე მთელს სოფელში ჰფენენ ჭირსაო. ასე გასინჯეთ, გლეხები ჭირით ავადმყოფს საქონელს ჰკლენ და ჭირიანების ხორცსა სჭამენო.

⁂ აფიცერის შენინგის გამართლების გამო კავკასიის სამხედრო სასამართლოს-მიერ, პროკურორის თანაშემწეს წინააღმდეგობა გამოუცხადებია და საჩივარი შეუტანია უმთავრესს სამხედრო სასამართლოშიო. თუ პროკურორის საჩივარი შეიწყნარეს, სასამართლოს მეოთხედ მოუხდება გარჩევა შენინგის საქმისაო, ამბობს გაზ. „კავკაზი“.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, პოდპოლკოვნიკის ი. ს. იოსელიანის საჩივარი კავკასიის სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილების გამო არ შეუწყნარებია უმთავრესს სამხედრო სასამართლოსა. ამისათვის კავკასიის სამხედრო სასამართლოს განაჩენი იკვე შევიდა ძალაში და პოდ-პოლკოვნიკი იოსელიანი დატუსაღებულ იქმნა. განაჩენის ძალით ბ-ნს იოსელიანს ჩამოერთმევა ყოველივე ღირსება და უპირატესობა და გაიგზავნება საცხოვრებლად ტობოლსკის გუბერნიაში.

⁂ ამ დღეებში დაბრუნდა პეტერბურგიდამ წევრი ტფილისის საქალაქო გამგეობისა ბ-ნი იზმაილოვი, რომელიც გაგზავნილი იყო იქ ზოგიერთის საქალაქო საქმეების გასაკეთებლად.

⁂ „С. Пет. Вѣд.“-ი ამბობს, რომ წარსულ წელთა მაგალითისამებრ, ფინანსთა სამინისტრო რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის ახალორძინებლად წელსაც აძლევს შემწეობასაო სხვათა შორის „რუსეთის სანავოსნო საზოგადოებას“ 803,223 მანათსაო და საზოგადოებას «კავკასია და მერკური», რომელიც ხომალდებს ატარებს კასპიის ზღვაზე—275,400 მან.

⁂ გაზ. „კასპი“ ამბობს, რომ მთავრობამ დაამტკიცა, როგორც ისმის, კასპიის საზოგადოების წესდებაო და მისცა ნება 2 მილლიონის მანათის აქციები გამოსცესო.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ბ-ნს ნობელს უთხოვნია მთავრობისათვის, ნება მომეცით ნავთის გამყვანი მილი გავაკეთო სურამის უღელ-ტეხილზე მარტო ჩემთვისაო, მაგრამ გზათა სამინისტრო უარზეა და ამბობს, რომ ეგ ნება უმჯობესია მიეცეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის საზოგადოებასაო, რათა ამ საზოგადოების ღონით გაყვანილი სანავთო მილი ყველა ნავთის მწარმოებელს აძლევდეს სარგებლობასაო.

⁂ იმერეთიდგან გვწერენ, რომ სოფელ ღარის-ხევს მართალია სამრევლო სკოლა აქვს გამართული, მაგრამ შეგირდები ძალიან ნაკლებად არიან ამ სკოლაშიო. სულ მათი რიცხვი ათს ძნელად აღემატება ხოლმეო. ეს ათიც ხან დადის სკოლაში, ხან არაო.

⁂ იქიდამვე გვწერენ, რომ სოფ. ღარის-ხევის მახლობლად არის ჭურჭლის ქარხანა დადეშიძეებისაო. ამ ქარხანაში დიდძალს სურებს აკეთებენ. სურებზე სხვა-და სხვა გამოხატულება და ბარელიეფებია გამოყვანილი და სხვა-და-სხვა ფრად შეღებილიო. დადეშიძეები ამ ხელობას არავის არ ასწავლიანო, ეშინიანთ, სხვამ

ყოველს თავის სურვილს შეატყობინებდა ხოლმე პატრონს წერილითა. აი ეს უცნაური მწიგნობრობა როგორი იყო. წერილი ფირფიტები გაეკეთებინა ექიმს და ზედ დაეწერა, „ჭამა მინდა, სიარული მინდა, სტუმრად წავიდეთ, სანადიროდ წავიდეთ“ და მებრვე სხვა. 150 ამისთანა პატარ-პატარა ფირფიტა თვითეული შესაფერის ნაწერითა რიგზედ ელაგა დაბლად გადებულ თაროზედ. ძაღლი, როცა რაიმე სურვილი მოუვიდოდა, მიდიოდა და შესაფერს ფირფიტას აიღებდა და მიუტანდა პატრონს. როცა პატრონი ხმა-მაღლა კითხულობდა ფირფიტაზედ ნაწერს, ძაღლი სიხარულის ნიშნად კუდის ქნევას მოჰყვებოდა და მერე ფირფიტას დიდის სიფრთხილით წაიღებდა და ისევ თავის ადგილას დასდებდა. ამ რიგად ლაპარაკი პატრონთან ცხადი იყო ძალიან ესიამოვნებოდა ხოლმე ძაღლსა.

შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ვინ რა იცის, იქნება ძაღლი სურვილისამებრ კი არ არჩევდა ფირფიტას, ისე ალალბედად რომელიც მოხვდებოდა იმას წააღებდა ხელსაო. ამისთანა ეჭვს სრულიად საბუთი არა აქვს, თუ მხედველობაში მივიღებთ შემდეგს მაგალითს: ხსენებული ექიმი სტუმრად რომ სადმე დააპირებდა წასვლას, ჯერ ძაღლს გაჰგზავნიდა შესატყობრად შინ არის, თუ არაო. ძაღლი სიხარულით აუსრულებდა ხოლმე ამ სამსახურს, წავიდოდა და როცა დაბრუნდებოდა, მოუტანდა ხოლმე იმ ფირფიტას, რომელზედაც ეწერა ან „შინ არის“ ან „შინ არ არისო“! საკვირველი ეს არის, რომ ამ შემთხვევაში ძაღლი არც ერთხელ არ შემცდარა, არც ერთხელ არ უტყუვნია.

ყველას შეტყობილი ექნება, რომ ძაღლისათვის არამც თუ თვლა უსწავლებიათ, არამედ რამდენიმე არითმეტიული მოქმედებაცა პატარა რიცხვებისა. ამ რამდენისამე წლის წინად ინგლისში ორს ძაღლს აჩვენებდნენ, რომელთაც ანბანი იცოდნენ. ძაღლების წინ პატარა ხის-კაცები ეწყო ნარდის კაცებსავით, თვითოზედ თვითო ასო ეწერა. გარეშე კაცი, რომელსაც ამ უცნაურს ძაღლებს ფულით აჩვენებდნენ, ხმა მაღლა იტყოდა რომელსამე სიტყვას და ის ძაღლები აიღებდნენ ასოებს და იმ სიტყვას შეადგენდნენ ხოლმე. იგივე ძაღლები შეუცდომელად არჩევდნენ ხოლმე სხვა-და-სხვა ფერებსა და არითმეტიულ მოქმედებას ოცამდე აკეთებდნენ.

მეტად სასაცილო და სასიამოვნო თურმე, როცა ძაღლი დომინოს ჰთამაშობს. ძალიან ადვილია თურმე კაცმა ძაღლს დომინოს თამაშობა ასწავლოს და ძაღლიც ისე შეეჩვევა ხოლმე, რომ ყომარბაზსაც გადააჭარბებს. თქვენ დასვამთ თუ არა დომინოს ქვას, თვალის დახამხამების უმალ ძაღლი შესაფერს ქვას მოუსვამს გვერდით. ამბობენ, დახელოვნებული მოთამაშეც კი ისე სწრაფად შესაფერის ქვის დასმას ვერ მოახერხებსო. ხოლო აქა სჩანს კაცისა და ძაღლის გონიერების სხვა-და-სხვაობა. ძაღლი თუმცა მარდად ჰთამაშობს, მაგრამ თამაშობის მოსაზრება საჯობნელად მოპირდაპირისა არა აქვს. რეკლამი, პროფესსორი ლეიპციგის უნივერსიტეტისა კი ამბობს, რომ წინასწარ თქმა იქნება, ვითომც ძაღლს არ შეეძლოს დომინოს თამაშობა ოსტატურად დაისწავლოსო. მართალია, მაგალითები ერთი და ორი არ არის, რომ ძაღლს წინადვე მოესაზროს, მოეფიქრებინოს საქმე და წინადვე დაეწყოს. დეკანდოლს უნახავს, რომ რამდენსამე ძაღლს ერთად თავი მოეყარათ, ჩასაფრებულიყვნენ იმ ადგილას, საცა ერთი დიდი ქოფაკი ხშირად დაიარებოდა, იგი ქოფაკი, რომელსაც თვითეეული ჩასაფრებულთაგანი არა ერთხელ გაებეგვა ცალ-ცალკე რა წამსაც ჩასაფრებულებს დაუსწორდა თურმე ქოფაკი, ერთიანად გამოუცვივდნენ, წაიგდეს ქვეშ და იქამდე სთელეს თურმე, მინამ მე და თქვენ მივეშველებოდით. ეგევე მეცნიერი მოგვითხრობს, რომ იმ უბნის ძაღლები, საცა თვითონ მდგარა, ყოველ დღე ერთსა და იმავე საათს შეიყრებოდნენ ხოლმე ერთს მწვანე მტილზედ და ჰთამაშობდნენო. ცხადია, ამ მტილზედ ძაღლებს თავიანთი კლუბის მსგავსი რამ ჰქონიათ, ანუ საზოგადო სასეირო ადგილი.

ყველაზედ სასაცილო ის არის, რომ კარგად გაწვრთვნილი ძაღლი, ესე იგი, განათლებული, დიდ-კაცობს, არა კადრულობს და ჰთაკილობს ძაღლებსა და უფრო რჩეობს ადამიანთან დროს გატარებას და ყოფნას. ეს საძაგელი ამპარტავნება უსათუოდ ჩვენგან შეეყრებოდა ამ საყვარელს პირუტყვსა.

ძაღლებს ყოველს ამასთან საკვირველი სამუსიკო ყური აქვთ თურმე. „ბუნების-მეტყველების ისტორიაში“, რომელიც ეკუთვნის კასსელს, ამისთანა საოცარი მაგალითია ნაჩვენები. დარმშტატში ერთი გერმანიელი ბ-ნი ს... ყოფილა. როგორც თვითონ, ისეც მთელი მისი სახლობა დიდად მოყვარული იყო თურმე მუსიკისა. ყოველ ღამ სახლში იმართებოდა კონცერტი და ამ კონცერტზედ ყოველთვის დაესწრებოდა ხოლმე მისი ძაღლი ჯიშით პუდელი. სახლის პატრონს ფიქრად მოუვიდა ძაღლი მუსიკას შეაჩვიოს და გაწვრთნოს. როცა დაკვრის დროს ან სიმღერის დროს ვინმე შესცდებოდა და ნოტას შეშლიდა, პატრონი ძაღლს წკეპლასა სცემდა ასე, რომ დაალმუებდა ხოლმე. ძაღლი მალე მიუხვდა რა სწადდა პატრონსა და ყოველ ნოტის შეშლაზედ თვითონვე უცემლად მოჰყვებოდა ღმუილსა, პატრონის წკეპლას აღარ უცდიდა. მალე ისე გაიწვრთნა ამ ხელობაში, რომ მცირეოდენი შეცდომაც-კი არ გამოეპარებოდა ხოლმე.

მრავალის კრიტიკოსისამებრ იგი ძაღლი მარტო შეცდომაზედ იყო მუყაითი, მარტო შეცდომის შეტყობის უნარი ჰქონდა. რაც უნდა მშვენივრად დაეკრათ, ან ემღერნათ, ყოველ ამისათვის უგრძნობელი იყო, ხოლო თუ ცოტათი რითმე შესცდებოდნენ და ჰარმონიას შეშლიდნენ კი, მაშინვე ღრინვას და ღმუილს მორთავდა. ისეთი სახელი სამუსიკო კრიტიკოსისა დაუვარდა ამ უცნაურს ძაღლს, რომ საცა კი კონცერტების და ოპერების რეპეტიციები იყო ქალაქში, ყველგან იმ ძაღლს მიიწვევდნენ ხოლმე. რასაკვირველია, მოწვევის ბარათს უგზავნიდნენ ძაღლის პატრონს და კასსელი თვით იმ ბარათის შინაარსსაც კი გვაუწყებს ამ რიგად: „სთხოვენ ბ-ნს ს—ს და მის საოცარს ძაღლს მობძანდნენ და გააბედნიერონ ამა და ამ პიესის რეპეტიცია. იმედოვნებენ, რომ თუ ვინიცობაა თვითონ ბ-ნი ს... ვერ მობძანდება, გამოგვიგზავნის თავის დიდად პატივ-საცემს პუდელს მაინცა.“ კასსელი ხუმრობა გაშვებით ურჩევდა წაეყვანათ ეს გამოჩენილი ძაღლი ლონდონში, რომ იქაურ ოპერისათვის სამუსიკო კრიტიკოსად დაენიშნათ.

ლონდონში კი რა მოგახსენოთ და აქ ჩვენში კი რომ მობძანებულიყო ის ბატონი პუდელი, ბევრს აქაურს კრიტიკოსს შეგვირცხვენდა და ბევრს არტისტს აქაურ ოპერისას ფერს აცვლევინებდა. კარგია რო შეგვიბრალა, თორემ იმის ღრენასა და ღმუილს ვინ გაუძლებდა. თუ რომ მართლა ყოველის ნოტის შეშლაზედ ღრინავდა და ღმუოდა აქაური ზოგი ერთი არტისტი ოპერისა ღმუილით და ღრენით გაჰხეთქავდენ იმ ოთხფეხს კრიტიკოსსა და დასამარხავად ჩვენ გაგვიხდებოდა ამ კუტრობაში.

Z

რომ ისწავლოს ჩვენი ხელობა, ვაი თუ ჩვენ ულუკმა-პუროდ დავრჩეთო. არამც თუ არავის არ ასწავლიან თავიანთ ხელობას, არამედ ქარხანასაც-კი არავის აშინჯებენ, თუნდა ფასიც რომ მისცენო. დადეშიძეებს მუშტარი ბევრი ჰყავთ; იმათ ქარხანაში გაკეთებული სურები ძალიან ბევრგან ისყიდება. მუშტარი იმდენად ბევრია, რომ ვერც-კი ასდიან სურების კეთებასაო.

ნაკვესი

ერთი ყმაწვილი კაცი სადილად მეგობართან იყო. მარჯვნით უჯდა აკაკი და მარცხნივ ერთი ტიტინა მოლაპარაკე.

მეგობარს უნდოდა ეთქვა, რომ მარჯვნივ ბულბული უზის და მარცხნივ კაჭკაჭი და იკითხა: რა მანძილი არის ბულბულსა და კაჭკაჭს შორისო.

— ბევრი არაფერიო, უთხრა აკაკიმ, შუაში მარტო ერთი ბაიყუში-ღა უზისო.

ლელო

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ახალციხე, 26 სექტემბერი. ადგილმდებარეობით ახალციხე განიყოფება ორ ნაწილად. პირველს ნაწილს უწოდებენ „პლანს“ მეორეს «რაბათს». ახალციხეს ორ ნაწილად ჰყოფს ალმართი, რომელიც თითქმის ერთი ვერსია სიგრძით. უკეთესს ნაწილად ითვლება „პლანი“. ყოველისფერი, რითაც კი ქალაქი-ქალაქად იწოდება, იმყოფება აქ. სამმართველოები, სკოლები, სატანცი-მანციო „კლუბები“, კრუჟოკი, საქალაქო ბაღი, სადაც ზაფხულობით კვირაში ორჯერ გრგვინავს სამხედრო მუსიკა და სხვ. და სხვ. ამის გამო, რასაკვირველია, ჩვენი „ინტელლიგენციაც“ აქ არის დასახლებული. ბედკრული რაბათი კი არამც თუ ყველა ამაებს არის მოკლებული, არამედ თითქმის არავითარი კავშირიც-კი არა აქვს პლანთან, როგორც ქალაქთან. ამ ნაწილს რაბათელები თუმცა ცალკე „საპრისტაოს“ უწოდებენ, ძვირად-კი ჰხედავენ პრისტავს. ეს გარემოება აიხსნება ჯერ იმით, რომ რაბათელები საშინელი მშვიდობიანი ხალხნი არიან და შემდეგ თვით პ—ვის სიზარმაცით, რომლის მიზეზიც ხალხის მშვიდობიანობაა. მართალია, რაბათში არის პრისტავის «კანცელიარია» *).

„პლანი“ საკმაოდ უსუფთაოა, მაგრამ უსუფთაობაშიაც მაინც რაბათთან შედარებით ბატონია. აქ ხშირად შეხვდებით გადამძვრალს ძაღლს და კატას ქუჩებში, და ამის გამო ისეთი ავი სუნი ტრიალებს, რომ მახვილი ყნოსვა ძალიან შორსა ჰგრძნობს. ქუჩები ნაგვიანებია და ბინძური. დაფიცვით დავიფიცავ, რომ რაც რაბათის ქუჩები არსებობენ, არ დაგვილან. ეხლა-კი ცილს თუ დავწამებთ, თორემ ნამდვილად კი ქუჩის დაგვა აქ თითქმის გაგონითაც კი არ გაგონილა. ან კი ვინ არის მომდურავი. ხალხი ისე შეჩვევია ამ უსუფთაობას, რომ, შეიძლება, სისუფთავემ კიდეც აწყინოს!?.

უპრისტაობა, უსუფთაობა და ბევრი კიდევ სხვა უხერხულობა და ნაკლულევანება ისე სამწუხარო არ უნდა იყოს ჩვენთვის, როგორც სკოლების უქონლობა. ჩვენ ჩვენდა სამწუხაროდ ამ მხრით ძალიან სუსტად გახლავართ. როგორც მოგეხსენებათ, ყოველივე სიკეთე სწავლა განათლებას მოსდევს და სწავლა-განათლების გასავრცელებლად კი საჭიროა სკოლები. და აი ამ საშუალებას, როგორც ზემოთაცა ვსთქვით, მოკლებულნი ვართ რაბათელები. რომ ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზებისაგან ვიყოთ ასე დაქვეითებულნი, კიდევ ჯანი გავარდეს ეშმაკსა, მაგრამ, რომ დაუდევრობითა და ჩვენისავე უთაურობითა ვართ ასე უკან ჩამორჩომილნი, ეს არის თავში საცემი.

დღეს აქამომდე ორი სკოლა იყო აქ. ერთი საქალებო და მეორე კათოლიკეთა საეკკლესიო სავაჟო სკოლა, რომელშიაც რამდენიმე ქართველი ყმაწვილიც სწავლობდა. ვამბობდით, სამრევლო სკოლასაც ჩვენ ქართველები გავმართავთო და კოჰი ალჩუს დაგვიჯდებაო. ახალის დაარსების ნაცვლად, ძველიც — კათოლიკეთა სკოლაც — დაიკეტა. ამის მიზეზად, რაღა თქმა უნდა, სიღარიბესა ჰხდიან. მაგრამ „გული გულობდეს, თორემ ქადა ორის ხელით იჭმევაო“. სურვილი იყოს საზოგადოებისა და მეთაური, თორემ ერთის სკოლის შენახვა არ გაუჭირდებათ სამ-ასს ოთხ-ასს მოსახლეს, კიდეც რომ ღარიბნი იყვნენ. ეს მიზეზი ტყუილი მიზეზია. ვინც ღარიბია, ის უფრო არას დაჰზოგავს სკოლისათვის. უთაურობა, უთაურობაა კეთილ-საქმეში ჩვენი უბედურება. ბევრს თითქმის წვრილმან სოფლებშიაც-კი სცდილობენ დაარსონ სკოლები და კიდეც აარსებენ, ჩვენი საზოგადოება კი ყურსაც არ იბერტყავს. ნეტა რა უძლეველ სიძნელეს წარმოადგენს სამრევლო სკოლის დაარსება?... სასკოლო შენობა აქვს წმ. მარინის ეკკლესიას და მსურველთა რიცხვიც, იმედია, ბევრი იქმნება. საჭიროა მხოლოდ საზოგადოებას გამოეცხადოს და ვინმემ ითავოს ეს კეთილი საქმე. მაგრამ აბა, თქვენგან არ მიკვირს, ვინ უნდა გამოიდოს თავი საზოგადო საქმისათვის? იმის ჯიბეში განა რა ჩავა ამ თავ-გამოდებით? ან ვინ აუგებს ძეგლს სკოლაში მოღვაწეობისათვის? ხოლო თუ ძეგლს არ აუგებთ, არ აქებთ და არ ადიდებთ ერთის სკოლის გამართვისა და წარმატებისათვის, განა გიჟი ვინ იქნება, რომ თავი იხეთქოს ყმაწვილების სწავლებითა და ჩიჩინითა.

აფსუს! ჩვენნი წინაპარნიც აგრე ვაჭრებივით არა ვაჭრობდნენ თითო კაპეიკობით, და კეთილის საქმისათვის მზად იყვნენ სიცოცხლეც-კი გაეწირათ. აფსუს პირველ-აკვანო და პირველ-კერავ ქართველთ სწავლისა, განათლებისა და კაცად-კაცობისავ! ნუ თუ ასე დამცირდა შთამამავლობა შოთასი, შავთელისა, ეპისკოპოსის მტბევრისა, სარგის თმოგველისა, ივანე და შალვა ახალციხელთა, სარგის ბექა ჯაყელთა და სხვათა მრავალთა?

ჰე ცრუ სოფელო
დაუნდობელო
შენში კეთილი სად არს ფერ უცვლელ?..

—

დიდება ჩვენი,
ცად სხივ მომფენი,
ნუ თუ ქს-და გაქვს, გჭედავთ რასაცა?

განო ათაბეგი

---

*) „კანცელიარიას“ უწოდებენ პრისტავის ოთახს, რომელიც შუა ბაზარში იმყოფება.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთში დღეს უმეტესი ნაწილი როგორც საზოგადოებისა, ისე ჟურნალ-გაზეთობისა იმ აზრისაა, რომ რუსეთმა უნდა გარდაწყვეტილი სიტყვა სთქვას და ბოლგარიას ხელი ჩაჭკიდოსო. ამის წინააღმდეგიც ბევრია. ესენი პირ-და პირ ამბობენ, რომ ბოლგარიას სრულიად თავი უნდა დავანებოთო: „ჩვენ თავსაც ნუ შევიწუხებთ, ღვთის ანაბრობაზე მივაგდოთ საქმე, დეე ბოლგარიამ თითონ იზრუნოს თავის თავისათვისაო.“ გაზეთი „Петербургскія Вѣдомости“-ც ამათ ბანს აძლევს და ამბობს:

> განა ღირს იმათა, რომ რუსეთმა თავი შეიწუხოს და ახალი მსხვერპლი შესწიროს ბოლგარიაში მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად? ადრე თუ გვიან ეს უბედური ქვეყანა ჩვენ მაინც ხელიდამ ვერ წაგვივა? წასასვლელი გზა არსაით აქვს. დე ბატენბერგის მომხრეებმა კიდევ დღევანდელზე უარესად საქმეები არივ-დარიონ, დეე ბოლგარებს შორის საშინელი სისხლის ღვრაც მოხდეს, დეე ოსმალეთმა თავის ჯარები ხელ-მეორედ ჩააყენოს ბოლგარიაში და თოფებითა და შუბებით დაამყაროს მშვიდობიანობა, დეე ყველა ეს უბედურება თავს დაატყდეს ბოლგარიასა,—მაშინ მოვლენ ჭკუაზე ბოლგარები, ისევ მოგვნახავენ ჩვენ და ხვეწნას დაგვიწყებენ: გვიშველეთ, დაგვიხსენით, თქვენ მფარველობის ქვეშ მიგვიღეთო!.. მაშინ დადგება ჩვენი დროვო.

ამაზედ გაზეთი „Новое Время“ საფუძვლიანად იძლევა შენიშვნას:

> მერე, რას იტყვით, რომ საქმე ეგრე არ მოხდეს? სერბიის მაგალითი ცხადად გვიმტკიცებს, რომ უფრო ადვილი მოსალოდნელია წინააღმდეგი. მაშინაც ჩვენი შორს-მჭვრეტელი და გამჭრიახი პოლიტიკოსები ამასვე გაიძახოდნენ, რასაც დღეს. მერე ახდა მათი წინასწარ-მეტყველობა? ამ გვარ პოლიტიკოსების წყალობით სერბია სლავიანებს შორის გაუდგა და დღესაც, გგონებთ, ეს პოლიტიკოსები სამსახურს გაუწევენ მხოლოდ ჩვენს „მეგობრებს“, რომელნიც ეხლა იმასა ცდილობენ, რომ ბალკანიის ნახევარკუნძული სულ აურიგ-დაურიონ.

⁂

ბ-ნი მეშჩერსკი თავის „Дневникъ“-ში საყოველთაოდ აცხადებს:

> მე დღეს ძალიან ცუდს გუნებაზე ვარ, გაჯავრებული ვარო!

რას გაუჯავრებია ბ-ნი მეშჩერსკი, რა მომხდარა? აი რა:

> დღეს,—გვიმჟღავნებს ბ-ნი მეშჩერსკი თავის გულის დარდსა, სანდო და მცოდნე კაცისაგან ნამდვილად შევიტყე ერთი სამწუხარო ამბავიო.

ეს სამწუხარო ამბავი აი რაში მდგომარეობს:

> დღეს ახალი „მაგაზინის თოფი“ შემოუღიათ; ეს თოფი ისეა გაკეთებული, რომ ვესტ ნახევარზე სცემს, ერთხელ შეგიძლიანთ მიზანში ამოიღოთ 400-ჯერ ზედი-ზედ დასცალოთ და თითქმის ნახევარ ბეწვზედაც არ ააცდინოთ მიზანსა...
>
> აი ჯერ-ჯერობით რაში იხატება მშვიდობიანი წინა-მსვლელობა ხალხისა, სახელმწიფოების ურთიერთშორისი მეგობრული განწყობილებაო.

სწუხს ბ-ნი მეშჩერსკი და, ჩვენის ფიქრით, სამართლიანადაცა სწუხს.

რუსეთი

— წარსულს თთვეში ს.-პეტერბურგის ოლქის სასამართლოს ერთის მკვლელობის საქმე გაურჩევია. ეს მკვლელობა 5 ივნისს მომხდარა: ნიკიშკინს თავის ცოლი აბანოში წაუყვანია და იქ კალმის დანით მოუკლავს. ჯერ მკერდში დაუცრავს დანა, ცოლს ყვირილი დაუწყვია და გაქცევა სდომებია, მაგრამ ქმარს არ გაუშვია და მანამდის თავი არ დაუნებებია, სანამ საბრალო მსხვერპლი რამდენსამე ალაგას დაჭრილი დედა-მიწაზედ არ დაცემულა. მეაბანოებს ყვირილი გაუგონიათ, პოლიციისთვის შეუტყობინებიათ; პოლიციას კარები შეუმტვრევია და აი რა უნახავს: აუზთან გდებულა მკვდარი ირინა ნიკიშკინისა სულ ერთიანად სისხლში მოსვრილი და ნიკოლოოზ ნიკიშკინი კი, ამ ქალის ქმარი, აუზში იყო თურმე და გასისხლიანებულს ტანს იბანდა. როდესაც ჰკითხეს: „ეს რა ჩაგიდენიაო?“ მშვიდად უპასუხა თურმე: „ხომ ჰხედავთ, ცოლი მოვკალიო.“ 6 ივნისს ქალის გვამი გაურჩევიათ და ოცდა-ათი ჭრილობა ჰქონია. მთელი ტანი საბრალო ქალისა დასერილი ყოფილა, პირი კილოებიდგან მოყოლებული ნიკაპამდე ჩაჭრილი და კეფაშიაც რამდენსამე ალაგას დანა დარტყმული ჰქონია. მარცხენა გვერდზედ ერთი ისეთი ღრმა ჭრილობა უნახავთ, რომ გული სჩანდაო და სხ. ზოგიერთი ისეთი ჭრილობები ჰქონდა მკვდარს, რომ ეტყობოდა დამჭრელს დიდხანს ეტრიალებინა დანა ხორცში და ზემოდგან მოყოლებული ქვევით ერთ დროს ჩამოეჭრაო.

ამ საშინელის ავაზაკობის მიზეზი ეჭვიანობა და ცოლის ავი ქცევა ყოფილა. ქმარს რამდენჯერმე უნახავს თავისი ცოლი ვიღაცა უცხო კაცებთან, და ამას გარდა ქმარს ცოლისაგან ავი-ჭირიც შეჰყრია. ყველა ქალის ნაცნობებს სასამართლოში გამოუცხადებიათ, რომ მართალია, ირინა ქარიანი ქალი იყო და ჰღალატობდა თავის ქმარსაო.

სასამართლოს დამნაშავე ქმრისთვის ყოველივე ღირსება ჩამოურთმევია და 15 წლით კატორგაში გაუგზავნია.

— პსკოვის გუბერნიაში ამას წინად შემდეგი შემაძრწუნებელი ავაზაკობა მომხდარა. ასისთავი ონისიმე პეტროვი სადღაცა ყოფილა და ერთს სოფელზე რომ გაუვლია, უნახავს გაჩაღებული ცეცხლი და მისულა ქოხთან გასათბობად. ამ დროს ქოხიდგან გამოვარდნილა პეტრე გრიგორიევი და დაუწყვია ლანძღვა-გინება: მე რომ ვიჭერდო, შენ რა საქმე გაქვს, რისთვის მიჭერდიო. გრიგორიევს გამოჰყოლია ამხანაგი, დინაბურგის აზნაური ბელკოვსკი, ორივეს დაუჭერიათ საბრალო ასისთავი, ერთს ფეხებიდგან, მეორეს თავიდგან, დაუდვიათ გაჩაღებულს ცეცხლზედ და მწვადივით უბრუნებიათ ერთის გვერდიდგან მეორეზედ, სანამ გული არ წასვლია ასისთავს. მეორე დღეს გამომძიებელი მოსულა, და უნახავს დამწვარი ასისთავი. ისეა დამწვარი, რომ სულ გაშავებულია და მარტო ის ადგილები-ღა აქვს ხორცის ფერისა, სადაც ავაზაკებს სჭერიათ, როცა ცეცხლზე უბრუნებიათო.

უცხოეთი

ბოლგარია. გაზ. „Новости“ გუშინწინდელს მეთაურს წერილში ამართლებდა გენერალ კაულბარსს და ამბობდა, რომ „Notional Zeitung“-ის აზრი, ვითომ გენერალს უფლება არა ჰქონდა პირდაპირ ხალხთან დაეწყო ლაპარაკიო, შეცდარი აზრიაო. ზემოხსენებული ნემეცური გაზეთი ამტკიცებდა, რომ სადიპლომატიო აგენტები და ელჩები გაიგზავნებიან ხოლმე მთავრობის წინაშე სალაპარაკოდ და არას დროს უფლება არა აქვთ პირ-და-პირ ხალხში გაერიონ და ელაპარაკონო. დღეს ამავე საგანზე ლაპარაკობს გაზ. «Новое Время». აი რას ამბობს გაზეთი: გენერალს მეტი ღონე არა ჰქონდა და ჩაერია ხალხში კრების დროს მოედანზეო. ეს საქციელი მამაცური საქციელი იყო გენერლის მხრით, მაგრამ სადიპლომატო კეთილ-გონიერება-კი ვერ გაამართლებს ამ გვარს საქციელსაო, მით უმეტესს, რომ კაულბარსმა ბოლგარული ენა არ იცისო.

დაბად და სოფლად სიარული კაულბარსის მხრით ჩვენ შეცდომა გვგონიაო. რა საჭირო იყო ეს სიარული? თუ იმიტომ რომ დარწმუნებულიყო, ერი დაშინებულია მთავრობისაგან და თავისუფლად ვერ გამოსთქვამს, რაცა სურსო, ეს ხომ უამისოდაც იცოდაო. თუ არა და განა არ შეეძლო თვითო სოფიაშივე შეეტყოვო. სოფიაში რომ დარჩენილიყო გენერალი, უფრო ბევრს რასმე გააკეთებდაო, თვალით მაინც დაინახავდა, რას აკეთებდნენ რეგენტები და შეაჩერებდა ცოტაოდნად მაინც, თუ რასმე საწინააღმდეგო საქმეს განიზრახავდნენო. კაულბარსის სოფიაში ყოფნა უცხოელ აგენტებსაც შეაჩერებდა და თამამ ქცევას მოაშლევინებდა.

გაჭირვებულსა და გამწვავებულს დროს საუკეთესო ადგილი სატახტო ქალაქიაო. სატახტო ქალაქს უჭირავს ამ დროს მთელი ქვეყანა ხელშიო, რადგან ჯარზეა დამყარებულიო. ეხლანდელი რეგენტები ბოლგარიისა გაწურთვნილი ხალხიაო. კაულბარსს ეგონა, ისეთს ქვეყანაში ვართ, რომელიც მადლობის მეტს არასა ჰგრძნობს რუსეთის მიმართო და ის კი დაავიწყდა, რომ ეს რუსეთის მიერ განთავისუფლებული ქვეყანა დღეს მტარვალთა ბრბოს ხელშიაო. ამის გამო აი რა გამოდისო: გენერალი ხალხს რუსულად ელაპარაკებოდა და თუნდა თავისი ჩააგონოს, რეგენტობა-კი ბოლგარულად იქცევა, ჯოხითა და წკეპლითა მოქმედობსო. განა კაულბარსისა და რეგენტობის იარაღი მოქმედობასა ერთი და იგივეაო? განა ამ გვარს მდგომარეობაში რას გააწყობდა კაულბარსი, თუნდა ციცერონივით მჭევრ-მეტყველი ყოფილიყოვო?

— აი რა პროკლამაცია დაუბეჭდია მთავრობის მომხრე დასს, როცა კაულბარსი წასულა ბოლგარიის დაბად და ქალაქად: «ძმანო, კაულბარსი იმიტომ დადის აქედ-იქით ბოლგარიაში, რომ თქვენ წინააღმდეგ იმოქმედოს და უარი გათქმევინოთ სამშობლოზე, დამოუკიდებლობაზე და ბოლგარიის ისტორიაზე. გენერალი ცდილობს აგაჯანყოთ, რათა მერე შესაძლებელი შეიქნას ბოლგარიის დაჭერა ჯარებითა, ესრედ-წოდებული „ოკუპაციაო“. გაახილეთ თვალები, თუ არ გინდათ, რომ თქვენ შვილებმა და შთამომავლობამ დაგწყევლოთო. დაუმტკიცეთ გენერალს, რომ თქვენთვის სამშობლო ყველაფერზედ ძვირფასია. ერიდეთ გენერალსა. არ დაგავიწყდეთ, რომ სრულიად განათლებულის ქვეყნის თვალი თქვენ გიყურებთ და თქვენსკენ არის მომართული ამ ჟამად. თუ ჩვენ უღირსად მოვიქცევით და ვერ შევიშვნიეთ დამოუკიდებლობა, ჩვენს ქვეყანას მტრად გადავიქცევენო. ჩვენზედაა ეხლა დამოკიდებული, როგორც დავიცავთ ჩვენს ქვეყანას. თუ ჩვენ თვითონ არ გვინდა ოკუ-

პაცია, ძალათი ვერავინ ვერ მოგვახვევს თავს. ღმერთმა ჰქნას, რომ ჩვენი აფიცრები და სალდათები, რომელნიც ამას წინად სისხლსა ჰღვრიდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, ღირსნი შვილნი შექმნილიყვნენ ბოლგარიისა და არ შეცდენილიყვნენ რუსეთის ფულითა. ნუ დაემორჩილებით გენერალ კაულბარსს! გაუფრთხილდით პატივს ბოლგარიისას, თუ გინდათ საუკუნოდ იხსენიებოდეს თქვენი სახელი. ნუ შეარცხვენთ და შებღალავთ ბოლგარიის სალდათების სახელსა.“

— სოფიიდამ სწერენ ინგლისის გაზეთს „Times“-სა: ბოლგარიას დიდი განსაცდელი ელისო. ხაზინა ცარიელია, აფიცრები და მოხელენი ჯამაგირს ვეღარ იღებენო. ლონდონის გაზეთი ურჩევს დიდთა სახელმწიფოთა, შეეწიენით ბოლგარიას და ფული ასესხეთო, თორემ ბოლგარია იძულებული იქმნება რუსეთის სურვილი შეასრულოსო.

დეპეშა

6 ოქტომბერს

რუშჩუკი. სოფიიდამ მოდის ამბავი, რომ იქ ამ ჟამად ისე გამნელებული აღარ არის საქმეო. ბოლგარიის მთავრობას განზრახვა აქვს მოურიგდეს რუსეთს. ვინც უფრო ზომიერის მიმართულებისანი არიან სამინისტროს წევრთა-შორის, მეტადრე ნაჩევიჩი და სტოილოვი, იმ აზრისანი იყვნენ, რომ მხოლოდ გაჭირებაში შეიძლება დავთმოთ რამე არჩევანების საქმის გამოვო და ახლა-კი თხოულობენ, რომ მთავრობამ რუსეთის სურვილს ყურადღება მიაქციოს და დაუთმოს ყოველივე, რის დათმობაც შესაძლებელიაო.

ჟურჟევო. დაჭეშმარიტებით ამტკიცებენ, რომ ბოლგარიის დიდი საერო კრება დაიწყობა 15 ოქტომბერს ტირნოვოში. მთავრობის მდგომარეობა ვერ არის მტკიცეო: ყველა უკმაყოფილოა და ფულიც სრულიად აღარ არისო; ბარონ კაულბარსის წასვლას ბოლგარიაში ეხლა მოაქვს ნაყოფიო; რუსეთის მომხრენი უფრო და უფრო მლიერდებიანო; ხმები ისმის, რომ ბევრგან ბოლგარიაში შეიძლება ყოველს წუთს დიდი არეულობა მოხდეს მთავრობის წინააღმდეგაო.

ბერლინი. გერმანიის საიმპერიო ბანკმა ასწია დისკონტი 3-დამ 3½%-მდეო.

7 ოქტომბერი

კოპენჰაგენი. რადგან გაზეთებმა გაავრცელეს ხმა ვითომ მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი თავადი დოლგორუკოვი იმისთვის მოსულიყოს აქ, რომ პრინც ვოლდემარის ბოლგარიის მთავრად ამორჩევაზედ მოელაპარაკოს, ოფიციოზური გაზეთი „Berling Tidende“ აცხადებს, რომ თავადმა დოლგორუკოვმა, საფრანგეთიდამ რუსეთში მომავალმა, კოპენჰაგენში გზად შემოიარა, რათა მოკითხვა მოეხსენებინა სრულიად რუსეთის იმპერატრიცისაგან მის გვირგვინოსან მშობლებისათვისაო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ოქტომბერი 31 დღით არის.

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უწო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

8 დღე ოთხშაბათი. ღირს. პელაგიასი და ტაისიასი. კათოლ. წმ. ქალწ. ბირგიტტისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. სიკვდილი იმამ ზეინალ აბდინისა (შიიტებს). ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—51. ტფილისში მზე ამოდის 6—18, ჩადის 5—11; მთვარე ამოდის 11—24, ჩადის 12—35.

6 დღე ხუთშაბათი. წმ. მოციქ. იაკობ ალფესი, მამა აბრამისა და ლოტისა. კათოლ. წმ. მოწ. დიონიზიოსი, რუსტიკასი და ელევტერიასი. სომეხ. წმ. პანტელეიმონ და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—41. ტფილისში მზე ამოდის 6—20, ჩადის 5—10; მთვარე ამოდის 12—0, ჩადის 1—22.

10 დღე პარასკევი. წმ. მოწ. ევლამპისა და დისა ევლამპიასი; ღირს. თეოფილე და სხ. კათოლ. მადლობის წირვა ხოტინის გამარჯვების სახსოვრად. სომეხ. მარხვაა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—32. ტფილისში მზე ამოდის 6—21, ჩადის 5— ; მთვარე ამოდის 12—32, ჩადის 2—7.

11 დღე შაბათი. წმ. ფილიპპე მოციქ. კათოლ. წმ. აღმს. ფრანცისკო ბორჯიასი. სომეხ. წმ. მთარგმნელ ვარდაპეტთა სომეხთა: მესროპისა, ელიშესი და სხ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—24. ტფილისში მზე ამოდის 6—23, ჩადის 5—7; მთვარე ამოდის 4—4, ჩადის 3—11.

12 დღე კვირა. ღირს. კოსმან მგალობელისა. სომეხ. მე-5 კვირა ამაღლებიდგან (ქორწინების ნება ეძლევათ). გენერალი ერმოლოვი დაინიშნა მთავარ-მართებლად საქართველოში, 1816 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—17; ტფილისში მზე ამოდის 6—24, ჩადის 5—5, მთვარე ამოდის 2—51, ჩადის 3—24.

13 დღე ორშაბათი. წმ. კარპისა და ნიკიტისა. კათოლ. წმ აღმსარ. ედუარდისა. სომეხ. პოვნა წმ. ნაწილთა წმ. გრიგოლ ალვანის. კათოლიკ. წმ. თათლოსი და სხ. დაბადება მათ უმაღლესობისა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძისა, 1832 წ.—უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა დამატებანი 1861 წ. 19 თებერვალს გამოცემულის დებულებისა ბატონ-ყმობიდამ განთავისუფლებულ გლეხთა ყოფა-ცხოვრების თაობაზედ ტფილისის გუბერნიაში, 1865 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44—10. ტფილისში მზე ამოდის 6—25, ჩადის 5—3; მთვარე ამოდის 4—2, ჩადის 4—1.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

30 სექტემბერს პეტერბურგის ბირჟაზე შემდეგს ფასად ისყიდებოდა:

	მან.	კაპ.
ხუთ მანათიანი ოქრო.	8	—60
ტამოჟნის კუპონები.	167¼	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთ.	228	— „
— მეორისა.	222	— „
6% გირავნობის ფურცელი ტფილისის ბანკისა	97	— „
— — ქუთაისის ბანკისა	97	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ფურცლები.	86½	— „

პეტერბურგის ბირჟის მდგომარეობა: სავექსელო კურსის დაწევამ დააფიქრა ბირჟა.

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა	3	
» » 2 »	2½	»
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½	»
» » 2—	3	»
» » 3 »	2½	»
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა	4½	»
მე-2 ხარისხისა	3½	»
მე-3 —	3	»
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7	»
« » 2	6	»
სუკი	13	»
ცხვრის ხორცი	6	»

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის ზ. პ. გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ГРУЗИНСКАЯ РѢЧЬ

или начальный курсъ грузинсаго языка для русскихъ, შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან. ფასი 35 კაპ.

იქვე ისყიდება „**ქართული ქრისტომატია**“ უმცროსს კლასებში სახმარებელი. მიხ. ნასიძისა. ფასი 70 კაპ.

ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ არა ნაკლებ ათი ეგზემპლიარისას პირდაპირ გამომცემლისაგან, მას მანათზე 20% დაეთმობა. (10—7)

ყრმათა საკითხავი ჟურნალი

„ნობათი“

პედაგოგიური დამატებით მშობელთა და აღმზრდელთათვის.

1884-სა და 1885 წლის ყველა წიგნები, 17 № (10 წიგნი) ერთად ღირს—ქალაქში 3 მანათი, ქალაქს გარეთ გაგზავნით 3 მან. და ათი შაური. ათი შაური შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს. ადრესი: Тифлисъ. А. С. Гуладзе, Сололаки Фрейлинская, 7.

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

ქილილა და დამანა

მეფის ვახტანგ VI-სა

გრიგოლ გურიელის გამოცემა
ილია ჭყონიას რედაქციით.
ფასი სამი მანათი.

საწყობი წიგნისა არის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნთა მაღაზიაში; ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—რაჟდენ წუწუნავასთან. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნზე ათი შაური.

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში გრიქუროვის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში:

ვახუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

შედგენილი და დახატული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსი: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და «ქართლის ცხოვრების» ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთა გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთახეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მონეტებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველს ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოსია, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოვა 1887 წელს.

(20—14)

Дозволено цензурою. Тифлисъ 7 октября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე